

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

\_\_\_ აპრილი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

**ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის და „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი წესით:

ა) იმ პირებს, რომლებსაც მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების (გარდა საპრივატიზებო/სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისა) შესრულების ვადა წარმოემვათ/წარმოემოხათ 2020 წლის 1 მარტიდან და მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას პრივატიზებულ, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის ან/და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების მოთხოვნით, აღნიშნული განკარგულებისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე, მიეცემათ დამატებით 4 (ოთხი) თვის ვადა ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის და სრულად გათავისუფლებიან აღნიშნულ პერიოდში დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსგან (დამატებითი ვადის ათვლა დაიწყება 2020 წლის 1 ივლისიდან იმ პირების მიმართ, ვისაც ეს ვალდებულება წარმოემოხათ 2020 წლის 1 ივლისამდე, ხოლო იმ პირებს, ვისი ვალდებულების შესრულების ვადა დადგება 2020 წლის 1 ივლისის შემდეგ, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის დღიდან);

ბ) იმ პირებს, რომლებსაც 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 30 სექტემბერამდე წარმოემოხათ საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულება და მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საფასურის გადახდისათვის დამატებითი ვადის მიცემის მოთხოვნით, აღნიშნული განკარგულებისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე მიეცემათ დამატებითი ვადა საპრივატიზებო/სარგებლობის საფასურის გადასახდელად არაუგვიანეს 2020 წლის 20 დეკემბრამდე და გათავისუფლ-

დებიან აღნიშნული ვალდებულების შესრულებლობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოს-გან.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულების შესრულების მიზნით გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე